



წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე წელი
1911-1912 წ.

სამეურნეო უზრნალი

გოსავალი



ივლისი 1.

№ 13

ზინაარსი:

გ. გულბათიშვილის რედაქტორობით - იონჯა	3
ა. რუსიშვილი საქონლის ჯიშის გაუმჯობესება	6
ი. იოსელიანი ჩვენი მესიღეების საგულისხმოდ	9
მლ. ა. ჯალიაშვილი მეფუტკრეს კაღენდარი — მასის	10
ს. ხეთაგური რომელი ჯურა ვაშლია ქართლში გასაშენებელი	14
მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი	15

საყურადღებო ცნობები:

ჭიანჭველების ზრდასა და ხეხილებიდან	16
ცხენის ზურგის წამალა	—



სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი მიხედვისა: — ანოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთ მაშვილი ვ., ვილაშვილი ზ., ვაჭარიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს.გ. ვ., რცხილაძე ს.გ. გ., ფურცელაძე ი., ფალავანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე შ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჯანაშვილი შ., ჯიქია ლ., კახელი მევენაძე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საპუბლიკაციო.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებთ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზღთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

ანცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს ო.რი შაური.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Бяргинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე



განცხადება

ჟურნალ „მოსავალს“ მოუვიდა ლონდონიდან შემდეგი ორი წინადადება: *)

1. თხოულობენ ქიზიყის თამბაქოს 4000 ფუთამდე. იძლევიან **კარგ ფასს**. მყიდველი ჩაიბარებს თამბაქოს ბათუმში ჩატანილს. თამბაქო უნდა იყოს **ლია ფერისა (არა მუქი)** და მასთან **რბილი**.

2. თხოულობენ ბამბის თესლს (კურკას) 30,000 ფუთამდე **65** მანეთობაზე **ტონა** ანუ **62** ფუთი. ვისაც სურს ისარგებლოს ამ შემოკვეთით, მან უნდა **წ** გირ. კურკა წარმოუდგინოს „მოსავლის“ რედაქციას ნიმუშად გასაგზავნად ლონდონში ფოშტით.

დაწვრილებით პირობები გამოირკვევიან მაშინ უკეთუ გაგზავნილი ნიმუშები იქნებიან მოწონებულნი.

იღნეპა

(ვ. გულბაათიშვილის რედაქტორობით)

დღეს ჩვენი გლეხკაცობა ოხვრით იგონებს უწინდელს დროს, როცა უხვად იყო როგორც სათიბი, აგრედვე სახნავი მიწები და მოსავალიც კარგი მოდიოდა. დღევანდელ მცირე გამოსავალს მიწისას მხოლოდ ხალხის მიერ ღმერთის დავიწყებითა ხსნიან სოფელში. ნამდვილს მიზეზს, სახელდობრ იმას, რომ დღეს ხალხი გამრავლდა, თავისუფალი სახნავები აღარ მოიპოვება, ამას აინუნშიაც არავინ იგდებს.

გარდა ამისა, შენიშნავს თუ არა გლეხი, რომ ამა და ამ მიწაში ერთხელ კარგი პური ან ქერი მოვიდაო, მიადგება და ყოველ წლივ ერთი და იგივე მცენარის დათესით იმდენად ღლის მიწას, რომ ბოლოს იგი საშუალო მოსავალსაც აღარ იძლევა.

იმ ქვეყნებში, სადაც ხვან-თესვა წესიერადაა დაყენებული, მიწას თავის დღეში ისე არ გამოუღევენ ღონეს, როგორც ჩვენში. იქ ყოველ მოსავლის ჩაკლების შემდეგ მიწას უკანვე უბრუნებენ იმას, რაც მან მოსავალს მოანდომა. ამისათვის შემოდგომითვე ხვანვენ მიწას და სტოვებენ ასე რომ ჰაერმა გაუაროს, ნამი გაუჯდეს, მზის სითბო-სინათლით გახურდეს. ამასთანავე მოხნულ მიწას აპოხიერებენ საქონლის სასუქით ან მინერალური სასუქებით. გარდა ამისა სთესავენ ბალახებს იქ, სადაც პური ან ქერი ეთესა.

ბალახის თესვა, გარდა იმისა, რომ უბრუნებს მიწას ძალღონეს, მეტად კარგს შემოსავლის წყაროს შეადგენს სასოფლო-მეურნეობაში. განსაკუთრებით საჭიროა ბალახის თესვა ჩვენთვის,

*) დღეიდან ჟურნალ „მოსავალს“ ექნება პირდაპირი დამოკიდებულება ლონდონის ბაზართან, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივ ნაწარმოების გასაღებას უფრო პირიან ფასებში.

ქართველებისათვის. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი სოფელი ხარბად მისდევდა საქონლის მოშენებას. ისეთი კომლი ძნელად იქნებოდა, რომელსაც ათობით და ზოგს ასობითაც მეწველი ძროხები არა ჰყოლოდა. დღეს კი საქონლის მოშენება შემცირდა, რადგან სათიბი მინდვრები კვლავანდებულად ბევრი აღარ არის. თითო-ორიოთხეულს საქონელს დღეს გლეხი ვაინაჩრობით ინახავს. მთელი წლობით მხოლოდ ბზითა ჰკვებავს. ცხადია, ასეთი უნაყოფრო საქმლით შენახული საქონელი პატრონს ბევრს არაფერს შეჰმატებს. მუშა საქონელი უღონოა, ძროხები რძე ნაკლებნი, მონაშენი უვარგისი. რაც უფრო ღონიერია მუშა საქონელი, მით უფრო ნაყოფიერია მისი შრომა. ეს თავისთავადაც ცხადი მოვლენა ჯერ ჩვენს გლეხს თითქმევრ შეუგნია. სიბრალულით გეგვსება აღამიანს გული, რომ ხედავ ჩვენი გლეხის წვალეზას როცა იგი კატების მზგავსი ხარებით აკეთებს რაიმე საქმეს. ასეთ შემთხვევაში გლეხი უფრო მეტს წვალეზაშია, ვიდრე საქონელი.

ვისაც უნდა რომ საქონელი კარგი და ღონიერი ჰყავდეს, მან უნდა ნოყიერი საქმელი აძლიოს საქონელს. ამისთვის კი ბალახის თესვაა საჭირო.

სათესი ბალახებიდან ჩვენ აქ გავარჩევთ მხოლოდ იონჯას, რადგან იგი არის სხვა ბალახებზე უფრო ნოყიერი და კარგ მოსავალსაც იძლევა.

იონჯის ბალახი მეტად გემრიელი საქმელია არამც თუ შინაურ ცხოველებისთვის, არამედ შინაურ ფრინველებისთვისაც.

ა. ზედაგის დამუშავება იონჯისათვის

ვიდრე შეუდგებოდეთ ამ მცენარის აღწერას, საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო, თუ როგორი ზედაგია საჭირო იონჯისათვის.

შავ მიწაზე, სადაც ნიადაგის წყალი*) ძაან ღრმად არ არის წასული, იონჯა საუკეთესოდ იზრდება.

იონჯას არ უყვარს მზიანი ალაგი, არც ისეთი, სადაც სხვადასხვა გვარი უვარგისი ბალახი იზრდება და უშლის იონჯას ზრდას. მეტად სჩაგრავს იონჯას კაპუეტი ბალახი. კაპუეტი ისეთი მავნებელია იონჯისათვის, რომ გამოცდილი მეურნენი სრულებით არ ურჩევენ იონჯის თესვას იმ ადგილებში, სადა კაპუეტი ბალახი იცის. ადგილებში, სადაც ნიადაგის წყალი ზედაგიდან 2—3 საყენის სიღრმეზეა დაშორებული, იონჯა თუმცა გვარობს, მაგრამ ნაკლებჯერ ითიბება, ვიდრე ისეთ ადგილებში, სადაც ნიადაგის წყალი ზედაგზე ახლოა. მაღლობ ადგილებში (ე. ი. სადაც ნიადაგის წყალი ღრმად არის წასული) იონჯა ნელად იზრდება, გვიან შემოდის და ითიბება სამჯერ, მაშინ როდესაც დაბლობ ადგილებში ითიბება 5—6 ჯერამდე ზაფხულის განმავლობაში. თქმა არ უნდა, რომ ამინდს დიდი გავლენა აქვს იონჯის მოსავალზე.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ იონჯა კარგად გვარობს ისეთ მიწებში, რომლებიც გასუფთავებულია უბრალო ბალახებისგან. ასეთ მიწებთან შეიძლება ჩაითვალოს ის მიწები, რომლებშიაც

*) ნიადაგის წყლის შესახებ იხ. „მოსავალი“ 1910 წ. № 11, „ნიადაგი“ წერილი ვ. გულბათიშვილისა.



ეთესა სიმინდი, კართოფილი და სხვა, ერთის სიტყვით ისეთი მცენარე, რომელსაც რამდენჯერმე უნდა გათონხა, რადგან ხშირი გათონხა ასუფთავებს მიწას უვარგის ბალახებისაგან.

გამოცდილებით ვიცით, რომ რაც უფრო ღრმად მოიხენება მიწა იონჯისათვის, იმდენი უფრო ხანგრძლივი იქნება მისი ზრდა. მიწა უნდა მოიხნას შემოდგომით 5, 5^{1/2} და 6^{1/2} ვერშოკამდე სიღრმით და ღარჩეს ასე გაზაფხულამდე. ზამთრის ყინვების ზედგავლენით მოხნული მიწა კარგად იშლება და ფხვიერდება.

ბ. იონჯის თესვა

გაზაფხულზე იონჯისათვის მოხნული მიწა უნდა ოდნავ აიჩეჩოს, გასწორდეს და ამის შემდეგ დაითესოს იონჯა. თუ მიწას არ გავასწორებთ ფარცხით და უამისოდ დავთესავთ, იონჯა ან სრულიად არ მოვა, ან ზოგან ადრე გაიზრდება და ზოგან გვიან. ზოგნი ამჯობინებენ იონჯასთან სხვა გვარ მცენარის თესვას, მაგრამ ეს საჭირო არ არის. პირიქით როცა მარტო იონჯა ითესება, უკეთესი მრდის, უკეთესად იფურჩნება და გამძლე ღეროსა და ფესვებს იკეთებს.

იონჯის დასათესად მის თესლში ზოგი სამ წილს ქვიშას გაურევს ხოლმე, რომ უფრო თანასწორად დაითესოს. გაფანტვით დათესვის დროს ერთ დღიურ მიწაზე საკმარისია ერთი ფუთი თესლი, კვალდაკვალ დასათესად კი—ნახევარი ფუთი. გამოცდილ მეურნეთა სიტყვით, იონჯის ხშირად თესვა არ ვარგა. მაინცადამაინც თესლი საკმარისი უნდა იყოს, რომ კარგად დაითესოს, რადგან შემდეგ ხელმეორედ დათესვა იონ-

ჯისა ისეთ ადგილებში, სადა დათესილი თხლად მოვიდა, წვალება გამოდის. უკვე წამოზრდილი იონჯა უჩრდილებს ახლად ამოსულს და ახშობს. მართალია, ერთბაშად ბევრის თესლის სყიდვა გლახისთვის საგრძნობელია, მაგრამ უკეთესია ერთბაშად იყიდოს და ორი-სამი მანეთის გულისთვის ყოველწლივ არ დაკარგოს დესტინაზე 10—25 მან. შემოსავალი.

თესლის მოფანტვის შემდეგ დათესილი მიწა უნდა დაიფარცხოს. თესლი უნდა იყოს სუფთა და შემოსული, რადგან არეული ბალახის თივა დგება მდარე ღირსებისა.

გ. იონჯის მოვლა

თუ იონჯას უბრალო ბალახი მოერიდა, უნდა დააცადოთ ვიდრე იონჯა წარმოიზრდება 4—5 ვერშოკის სიმაღლე და შემდეგ გასთიბოთ რაც შეიძლება ძირში. გათიბვის შემდეგ იონჯა ისევ მალე წამოიზრდება და უბრალო ბალახები კი არა. მართალია, მეურნე ასეთ შემთხვევაში დაჰკარგავს ერთს თიბვას, მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ წლებში მიიღებს მხოლოდ წმინდა იონჯას.

იონჯის გათიბვის შემდეგ მიწა უნდა კარგად დაიფარცხოს კბილებიანი (რუსული) ფარცხით. ასეთ დაფარცხვის შემდეგ იონჯა ბლარტობს, მეტს ღეროებს იკეთებს, ხშირდება და შემდეგ წლებში უკეთეს მოსავალს იძლევა. ამასთანავე შემჩნეულია რომ დაფარცხის ზედგავლენით თვით თივაც უკეთესი ღირსებისა გამოდის, უფრო წმინდაა და ნაზი.

ვიდრე იონჯა ფესვებს გაიდგამს და ძირს მოიმადრებს, საქონლის ძოვება



მაენებელია იონჯისათვის. ამიტომ პირველ წელიწადს არას გზით არ შეიძლება იონჯის მოძოვება. შემდეგ წლებში ყოველ გათიბვის შემდეგ მოძოვებაც შეიძლება, ოღონდ მიწა ნუ იქნება წვიმისაგან ძაან დაშბალი რომ საქონელმა ფეხით ღრმად არ ჩაჩლიროთოს იონჯა და ან ფესვებიანად არ ამოგლიჯოს ძოვნაში.

მინდორი, რომელზედაც იონჯა სთესია, უნდა ყოველ წლივ გაზაფხულზე კარგად დაიფარცხოს სამ-ოთხ

რიგად. ფარცხს გაატარებენ გრძე-სივანეზე, მერე გარდნი-გარდნი და მესამედ ირიბად. ფარცხი უნდა იხმარებოდეს უეჭველად ხისა, სუმბუქი და ხის კბილებიანი.

ზოგნი დაბეჯითებით ურჩევენ ყველას იონჯის ფარცხვას 2--3 რიგად ყოველ გათიბვის შემდეგ იმ მიზნით, რომ ფარცხვა ძლიერ სასარგებლოა იონჯისათვის და აბევრებს მის მოსავლს.

(შემდეგი იქნება)

საქონლის ჯიშის გაუმჯობესოზა

საზღვარ-გარედ საქონლის პატრონები ძროხის მოვლა-მოშენებაში ორ სხვადასხვა მიზანს მისდევენ.

საკლავ საქონელს ერთ წესზე უვლიან, მერძეულებს—მეორეზე.

საკლავი ძროხა იქ 3—4 წელიწადში უკვე ტანაყრილია, იწონის 40 ფუთამდე, როდესაც რომ ჩვენებური, იმავე ხნისა, ბევრი-ბევრი 17—20 ფუთია ხოლმე, მეტი არა. ამასთავე ძროხა, რომელიც იქ 40 ფუთს იწონის, იმდენსავე საკვებავს თხოულობს თავის გასაზრდელად, რამდენსაც ჩვენებური 20 ფუთიანი ძროხა.

აქედან აშკარად სჩანს რომ იქაური საქონელი სჯობნებია საკლავად ჩვენებურს.

მეწველი ძროხაც ასეა. იქაური ჯიშისანია მეწველე, მაგ. გოლანდიის ძროხა ყოველ 2¹/₂ გირვანქა შეჭმულ თივაზე 1¹/₂ გირ. რძეს იძლევა, ჩვენებური ძროხა კი, იგივე 2¹/₂ გირ. თივა რომ შევაქამოთ, 1 გირვანქაზე მეტს ვერ მოიწველის.

ესეთი დიდი განსხვავება ძროხების შორის უწინ როდი ყოფილა.

იყო დრო, როდესაც დღეს სანაქებოდ გათქმული საზღვარ-გარეთის ძროხის წინაპარნიც ისეთივე უჯიშონი იყვნენ წველვაშიაც და სანახაობითაც, როგორც აწინდელი ჩვენებური სინსილა გამოლეული და დანაგალავებული ძროხები არიან.

კარგმა კმევამ და მოვლა-პატრონობამ საზღვარ-გარეთის ძროხა გარდაქმნა იმ ძვირფას ჯიშებათ, რომლებსაც დღეს ვხედავთ. მათ მნახველს მეტი დამტკიცება აღარ უნდა იმისი, თუ რამოდენა მნიშვნელობა ჰქონია საქონლისათვის კარგ მოვლასა და კმევას. რაც გინდა კარგი ჯიშისა იყოს ძროხა, თუ მოვლა აკლია, ზარალს მისცემს პატრონს.

შეგნებული მესაქონლე კარგი მოვლა-პატრონობით დაბალი ჯიშის საქონლიდანაც კი მოგებას მიიღებს.

ფინლიანდელებს ისეთივე წვრილი ძროხა ჰყავთ, როგორც ჩვენ. მაგრამ იმდენი ეცადნენ რომ წესიერი მოვ-



საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის საქონლის
ინსტიტუტი

ლით 10 წლის განმავლობაში ეს ძროხა გააუმჯობესოვეს და დღეს თითოეული მათგანი 2¹/₂ გირვ. თივაზე 1¹/₂ გირ. რძეს იწვევლის.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენება.

უპირველესად ყოვლისა ჯერ უნდა ვიცოდეთ, როგორ ავარჩიოთ ადგილობრივ ჯიშის საქონელში საუკეთესო საფურეც და ბულაც.

უნდა ვიცოდეთ რომ ყველაზე კარგ ძროხად ითვლება ის კი არა, რომელიც კარგი ჩამომავლობისაა, კარგი რქები აქვს, ყველაზე ლამაზია, არამედ ის, რომელიც ყველაზე ჯანმრთელია და სხვებთან შედარებით საქმელს იმდენსავეს სჭამს, რამდენსაც სხვები და მეტს კი იწვევლის.

ზოგი ძროხა ცოტა რძეს იძლევა, მაგრამ იგი უფრო სასარფოა ხოლმე, ვიდრე ბევრი რძის მომცემი ძროხა, თუ ეს უკანასკნელი თითოეულ გირვანქა რძის მოსაცემად უფრო მეტ საქმელს თხოულობს ვიდრე პირველი.

ამის გასაგებად საჭიროა მეწველ ძროხას წონით მივცეთ საქმელი და მოწველილი რძეც აფუწონოთ ხოლმე.

რაკი გვეცოდინება რომელმა ძროხამ რამდენი ფუთი საქმელი შეჭამა წლის თავზე და რამდენი მოიწველა, იმასაც ადვილად გავიგებთ, რომელია იმათში სასარფო და რომელი საზარალო.

საკლავიც ასე. საკლავად ის ძროხა იქნება სამჯობინარი, რომელიც უფრო ნაკლებ საქმელს თხოულობს ერთი გირვანქა ხორცის ასახმელად.

ხბოს მოვლასაც ცოდნა უნდა. შეიძლება ხბო ჯიშისანი დედისაც იყოს,

მაგრამ მოუფლელობისა გამო, გაიზდება არ ივარგოს.

მეწველე ძროხას კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული საქმლის სახარში ორგანოები. კუჭ-ნაწლევების გასაღონიერებლად საქონელს უფრო მოუხეშავი, უნაოცივრო საქმელი უნდა ეძლეოდეს, როცა მოზარდია. გოლანდიაში ჩვილ ხბორებს ორ-სამ კვირამდე რძით კვებავენ, ოთხიდან ექვს კვირამდე აქმევენ ისევ რძეს, ხოლო ცხიმ მოხდილს, მერე გადაყავთ ბალახზე. ზამთარში აქმევენ თივას და სხვადასხვა ნაქაჯავს ანუ ჭაჭას (жмыхи) 1¹/₂ გირვანქას თითო სულზე. სამაკებლად უშვებენ როცა 13—16 თვისა შეიქმნება.

როცა საკლავად ზრდიან ძროხას, მაშინ სხვარიგად იქცევიან. ჯერ ხბორებს აქმევენ რძეს უხვად, მერე გადაყავთ თივაზე ან ბალახზე. თივასთან ერთად აქმევენ ისეთ საკვებასაც, რომელსაც სინაოცივრე ბლომად ურევია და კი არა ბერავს, როგორც მაგალითად ქატო, დაროშილი ხორბალი, ჭაჭა და სხვა.

კურის გაზდაც საკვებაზეა დამოკიდებული. მით უფრო დიდი იზრდება კური, რამდენიც ძროხას წესიერად ეძლევა საკვებავი პატარაობიდან. საუკეთესო საკვებავად ითვლება ამ შემთხვევაში ის, რომელსაც ცხიმი ურევია ბლომად (სელის ფქვილი, ჭაჭა და სხვა).

გოლანდიაში, სადაც ძროხა 500 ვედრა რძეს იწვევლის წელიწადში, თითოეულ სულს ყოველდღე ზამთარში აქმევენ.

- თივას. 30 გირ.
- ჭარხალს. 25 „



შერიას. 6 „
 სელის ფქვილს 5 „

წველვასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ გვინდა რომ ძროხა კარგი მერძეული დადგეს.

ყოველ მოწველვაზე ცური უნდა ძროხას კარგად გამოეწველოს და თანაც დაეზილოს ხოლმე ცოტათი.

უზელავენ ცურს ასე: ძუძუს ასწვრივ კუნთს ცურისას მოუჭერენ მუჭას სამჯერ ზემოდან ქვევით ღონიერად და მერე ჩამოსწველიან ძუძუს. ასე სწველიან ოთხივე ძუძუს, სანამ ცური გამოიწველება მთლად.

წველვის გათავებისას თითოეულ ძუძუს თითო ჯერ ჩამოუწვევენ თავს ღონიერად, რომ უკანასკნელი წვეთი რძისა ჩამოიწკრიტოს.

ასე მოწველვით ცური უფრო მეტ რძეს იღვამს თანდათან. ნამეტნავად უზღდება ასე მოწველვა ძროხას, როცა პირველათა ჰყავს ხბო.

საფრანგეთში ერთ რიგ ცხვრებს, რომელნიც წინად 5 ფუთ რძეს იწველიდნენ წელიწადში, ცურის დახელით იმდენად მოამატებინეს რძე, რო ეხლა თითოეული მათგანი 14 ფუთ რძეს იწველის წელიწადში.

კარგი მოვლით ძროხა თანდათან უკეთესდება, შეძენილი ღირსება შემდეგ შთამომავლობაზე გადადის და უფრო ძლიერდება. ამ გზით რამდენიმე თაობის შემდეგ შეიძლება მშვენიერი ჯიში შემუშავდეს ჩვენი უჯიშო საქონლიდანაც კი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს: პირდაპირ კარგი ჯიშის ძროხები გამოვიწვე-

როთ საზღვარ გარეთიდან დაწერა... შად გავამრავლოთო.

გარდა სიძვირისა ხშირად გამოწერილი ძროხა ვერ იტანს აქაურ უჩვევ პირობებს და დიდხანს ვერა სძლებს, ან და სრულიად გადაგვარდება ხოლმე.

ადგილობრივი საქონლიდან შემუშავებული ჯიში კი გამძლეც არის და თაოსნიანიც.

ამიტომ საზღვარ-გარეთიდან ჩვეულებრივ მარტო კარგი ჯიშის ბუღას გამოიწერავენ ხოლმე აქაური ძროხების სამაკებლად.

პირველი თაობა ამ ბუღისაგან მიღებული ნახევრად იქნება სისხლ-გახლებული, ანუ როგორც მოკლეთ იტყვიან--**ნახევარი სისხლი** იქნება, მეორე თაობა— $\frac{3}{4}$, მესამე— $\frac{7}{8}$ და სხვა.

ანგარიშობენ ასე: საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი ბუღა ითვლება 1, აქაური ძროხა—0. ამ ერთსა და ნოლს შეაერთებენ და ჰყოფენ ორზე. გამოვა $(0+1): 2=1\frac{1}{2}$ სისხლს.

ეს ხბო რომ საფურე იყოს და როცა დრო მოუვა ისევ საზღვარ-გარეთელმა ბუღამ ამაკოს, ახლად დაბადებული ხბო იქნება $(\frac{1}{2}+1): 2=3\frac{1}{4}$ სისხლს.

ამგვარად ძროხაში რომ მარტო საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი ბუღა ვიყოლიოთ და იმას ვამაკებინოთ ყველა ფურები, ათის წლის განმავლობაში მივიღებთ ისეთ შემუშავებულ ჯიშს, რომელიც არამც თუ არ ჩამოურჩება საზღვარ-გარეთიდან გამოწერილს, პირიქით უკეთესი იქნება, როგორადაც აქაური ძროხის შვილი და მამასადამე უფრო გამძლე და თაოსნიანი.

ა რუსიშვილი

შემოსავალზე კი აი რა ცნობებს იძლევა დებარტამენტი. მთელ ყირიმის რაიონში ერთი დესეტინა ხილის ბაღის შემოსავალი, ორთაშუა არის 140 მან., თუმცა აქა-იქა მოიპოვება ისეთი ბაღიც, რომლის შემოსავალი 400—1000 მანეთამდე აღის. 140 მანეთი შემოსავალი ორ დღიურზე ჩვენს მეხილესათვის მაგრე რიგად დიდ ოცნებას არ შეადგენს. იშვიათად მისცემს მეხილე ჩვენში ერთი დღიურის ხილს ადგილობრივ 70 მანეთად. დღიურზე სულ რომ ცოტა ასი ხე მაინც უნდა ვიანგარიშოთ. ხემ რომ ხუთი ფუთი მოსავალი მისცეს, თუმცა საშუალოდ 15 ფუთია მიღებული, და ორ მანეთად გაყიდოს თითო ხე, ფუთი 40 კაპ. გასაღდება და მთელი დღიური შემოიტანს 200 მან. ანუ დესეტინა 400 მან.

ყირიმში ხილს თავის გადამრჩეველები ყავს, რომელთაც ხელი და თვალი დახელოვნებული აქვთ თავიანთ საქმეში. ბაღში, საცა ფარდულია აგებული ხილის დასახვებლად, ვაშლი და მსხალი ირჩევა სამგვარად.

თავანკარს ხილს შეადგენს მსხვილი, სრული ფორმის, უზადო, უქორფლო,

უჭიანო, წმინდა, ელვარე კანისა, თავისი ფერით დაფერილი ნაყოფი.

მეორე ჯურა თავი ხილიდან განირჩევა მხოლოდ მომცრობით, სხვაფრივ კი ისევ ისე სუფთა, ფერადი და დასრულებული ფორმისა უნდა იყოს. დაკოტიტებული, ჭორფლიანი, ხალიანი, ჭიანის გარევა ამ მეორე ღირსების ხილში გადამრჩეველისაგან შეუძლებელია.

მესამე ღირსებისას შეადგენს დანარჩენი დაწუნებული ანუ ანარჩევი.

ეს ანარჩევი იქვე ადგილობრივ იყიდება. თუ მეხილე თავის ხილს, ვაშლს ან მსხალს, წონით ყიდის მიღებულია რომ 25⁰/₀ ანარჩევი რჩებოდეს. როცა ამ რიგად გადაირჩევა ხილი, გადამრჩეველები ანებებენ თავსა და მათ მაგივრად მოდიან ხილის ჩამწყობნი პატარა ყუთებში ან გოდრებში ჩასაწყობად რბილი შესახვევი ქაღალდებით. ამგვარად, ხილის გადარჩევას, როგორც ხედავთ, დიდი ტარქრელი კოვზი არა სდომნებია, არც დიდი სწავლა და ცოდნა, მხოლოდ თვალისა და ხელის გაჩვევაა საჭირო და პატიოსნურად და არა ჩარჩულად მოქცევა.

ე. იოსელიანი

მეფუტკრეს კალენდარი

მაისი

ნაყოფის შეზღუდვა—შეჩერება.

ერთ რიგ მეფუტკრეებს ნაყარი გამოყავთ და იმით ვაჭრობენ, მეორე რიგი კი თავლს აკეთებინებს ფუტკარს. ამ უკანასკნელთ მიზნის მისაღწევად საჭიროა ნაყოფის შეზღუდვა-შეჩერება, ე. ი. მეფუტკრე უნდა ეცადოს, რომ მისმა ფუტკარმა ან სრულეობით არ იყაროს, ან და თვითეულმა

ოჯახმა თითო ნაყარზედ მეტი არ მისცეს. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მინდორ-ველი სახელოვანთქმულია თავისი უხვი დალიანობით. თორემ, თუ ოჯახებს დავაქუსტვამცებთ გაყოფით თაფლი ძალიან ნაკლები გვექნება.

ვიდრე ნაყოფის შეზღუდვის საშუალებებს დავასახელებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ ყველა ის მიზეზები, რომლებიც ნაყოფს აიძულებენ ფუტკრებს.



თანამედროვე მეფუტკრენი ნაყო-
ბის უმთავრეს მიზეზად ასახელებენ
ფუტკართა ბინის სივიწროვეს.

ვისაც მეფუტკრეობასთან საქმე არა
ჰქონია, იმისათვის ძნელი წარმოსად-
გენია, თუ რა სწრაფად ავსებენ ფუ-
ტკრები ფიჭებს ახალი თაფლით, რო-
დესაც მინდორ-ველი ყვავილითაა მო-
სილი. ძლიერი ოჯახი, რომელსაც აქ-
ნობამდე ბარტყის გამოსაკვები საზრ-
დოც კი არა ჰქონდა, ეხლა 15 გირ-
ვანქის და უფრო მეტი თაფლის მო-
ტანას ასწრობს დღეში. ფუტკრები ვე-
ლარ ასწრობენ იმდენი ახალი ფიჭა
ააშენონ, რომ დედასაც ეყოს კვერც-
ხის სადებლად და თაფლისათვისაც ჰქონ-
დეთ თავისუფალი ყაბი ანუ ადგილი. აი
აქ, უმთავრესად, იბადება ფუტკართა
შორის გაყრის სურვილი, ანუ, რო-
გორც სამართლიანად უწოდებენ,—
ნაყრობის ხურუში.

ნაყრობას ხელს უწყობს აგრედვე
ცხელი, სულის შემხუთავი ჰაერი სკაში
და აუარებელი მამლები ყოლა.

აქედან ცხადია, რომ ბევრი თაფლის
მისაღებად მეფუტკრემ დროთი უნდა
მოსპოს ყველა მიზეზები, თორემ, თუ
ფუტკრები ნაყრობის ხურუშმა შეიბ-
ყრო, მერე მათი დაკავება ძნელიდა
იქნება, თუ უცბად მინდორში არ შეს-
წყდა თაფლი, ან დაჟინებული ავდრები
არ დიიწყო. ამისათვის თავთავის დრო-
ზედ სკაში უნდა ჩაეწყოს ცარიელი
ფიჭები ბარტყის ახლო და მუდამ
თვალყური ედევნოს, რომ ფუტკარმა
არ იგრძნოს უჯრების უქონლობა.

უკეთ უნდა მოეწყოს აგრედვე სკაში
ჰაერის გაწმენდის საქმეც. ამისათვის
სკის მისაფრენები უნდა გაფართოვდნენ,
სახურავში დატანებული ხვრელებიც

დაიხსნას. ხელოვნური ფიჭის შემწვრობით
ბით შეგვიძლიან ადვილად შევამციროთ
მამალი ფუტკრების გამოჩეკა-გამრავლე-
ბაც. მაგრამ ასეთი ზომებით მაინც ვერ
შევძლებთ ნაყრობის **სრულებით** მოს-
პობას ეს ზომები მხოლოდ შეამცირე-
ბენ მას. გვიცდია მთელი საფუტკრის
გადაჩხრეკა და სადედოების გამოქრა,
აგრეთვე ახალი ნაყრების უკანვე ძველს
ბინაზედვე შებრუნება, მაგრამ ვერც ამ
საშუალებებს უშველია რამე—ნაყარი
მაინც გამოსულა ისევ.

ჩვენ აქ ერთს საშუალებას ურჩევთ,
როდესაც გვსურს რომ მუდამ განსაზ-
ღრული რიცხვი ვიყოლიოთ ფუტკართა
ოჯახებისა: ყველაზედ ადრეულა ნაყარი
უნდა მოვათავსოთ ახალს სკაში, საკუ-
თარს ბინაზედ და ამის შემდეგ კი,
რამდენს ნაყარსაც მივიღებთ, შეუერ-
თებთ იმ ოჯახს, რომელმაც პირველად
იყარა (იხ. „ოჯახების შეერთება“).

ვიტყვით მაგალითით: ვთქვათ ყველაზე
ადრეულა ნაყარი მოგვცა № 51-მა. ამ
ნაყარს მოვათავსებთ საკუთარს ბინაზედ.

ამის შემდეგ მივიღეთ კიდევ სხვა
ნაყარი № 12-დან. ამას ცალკე სკაში
კი აღარ ვათავსებთ, არამედ ვუერთებთ
№ 51-ს, რომელმაც ამის წინ პირვე-
ლი ნაყარი მოგვცა. შემდეგს ნაყარს
ამ მე-12 №-ს შეუერთებთ და ასე ამ-
გვარად მოვექცევით დანარჩენს ნაყ-
რებსაც. მაგრამ სჭიროა, რომ იმ
ოჯახს, რომელსაც უერთებთ ნაყარს,
ჯერ ამოეცალოს ჩამატლული ჩარჩები
და მათ ნაცვლად ბიეცეს ხელოვნური
ფიჭები, პირველები კი ჩაემატება სუსტს
ოჯახებს. ამ წესით მთელს საფუტკრეს
ემატება მხოლოდ ერთი ოჯახი—ყვე-
ლაზე ადრე გამოსული ნამთავრალი,



რომელიც მაშინვე ცალკე ბინაზე მოვათავსეთ.

ნამთავრების შეზღუდვა საჭიროა მაშინ, როდესაც თითო სკიდან თითო ნაყარზედ მეტი არ გვინდა ავიღოთ. ამისათვის შემდეგი ორი საშუალებაა ყველაზე უკეთესი: 1) —ნამთავრალის გამოშვების შემდეგ ამ დედა ოჯახს მოვხილავთ და გამოვაჭრით ყველა სადელოებს, გარდა ერთისას და 2) —ძველი ოჯახის ადგილზედ, ვდგავთ თვით ამ ნამთავრალს. ძველი ოჯახი კი გადაგვაქვს ახალს ადგილზე. ამ უკანსკნელიდან მთელი მოღალე ფუტკარი აღრინდელ ბინაზედვე დაბრუნდება, ნამთავრალს მიეკედლება, ოჯახი დასუსტდება და ნაყრობაზედ ივიწყებს ფიქრს.

ხელოვნური ნაყრობა. მრავალი სიძნელე, რომელიც თანასდევს ბუნებრივ ნაყრობას, როგორც მაგ. საფუტკრეზე დარაჯობა, ნაყრების უხერხული ადგილებიდან აკრეფა და სხვა გვაიძულებს ხელოვნურ ყრაზედ გადავიდეთ.

ჩვენ აქ ავწერთ ორ წესს ხელოვნური ნაყრობისას.

პირველი წესი. უმთავრეს ღალიანობის დროს, შუადღისას, როდესაც მრავალი ფუტკარია გასული სამუშაოდ, დავშლით ამორჩეულის სკის *) ბუდეს და ყველაზედ უწინ ამოვიღებთ იქიდან იმ ჩარჩოს, რომელზედაც იჯდება დედა, და გადავიტანთ ახალს სკაში ზედ შეხვეულ ფუტკრებიანად. აქედანვე ამოვიღებთ კიდევ ორს ან სამს ჩაბარტყულს ფიქსას, ფუტკრებს ჩავბერტყავთ

ძველსავე სკაში და ფიქებს ახალს სკაში გადავდგავთ, სადაც დედოიანი ჩაჩიქავთ ჩავდგით. ამ ჩარჩოებს აქეთ-იქიდან მიუმატებთ ორ-სამს ცარიელს ფიქას და დავდგავთ ძველი სკის ადგილზედ. ძველ სკას კი გადავიტანთ ახალ ადგილას. რა მოჰხდება? —ძველი სკიდან მთელი მოღალე ფუტკარი აღრინდელს ადგილზე წამოვა და გააძლიერებენ ახალ ოჯახს. ძველს სკაში დარჩება მარტო კუტი ფუტკარი *), რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგებიან ახალი დედის გამოყვანას. რამდენიმე დღე თითქმის ერთ ფუტკარსაც ვერ შენიშნავთ ამ სკაში მინაფრენს, აღარა ჰყავთ აქ მოღალე ფუტკრები. საჭიროა ამ სკას პირველს ხუთ-ექვს დღეს ეძლიოს საკვებარით წყალი და აგრედვე შაქრის შარბათიც, თუ ნაყრობის შემდეგ ცუდი ამინდი დადგება.

კარგს ვიზავთ, თუ დაობლებულს სკას ახალი დედის გამოყვანაზე დროს არ დავაკარგვინებთ და ზედმეტად შენახულს დედას მივცემთ. თუ ეს არ მოხერხდება, დაბეჭდილი სადელო მაინც უნდა ჩაუმყნოთ ფიქაში.

მეორე წესი. ეს წესი იმითაა კარგი, რომ ორი ოჯახიდან მსოლოდ ერთს ნაყარს ვიღებთ და სამივენი იმდენად ძლიერნი რჩებიან, რომ ღალიანობის დროს ყველანი მეორე სართულს იღვამენ. ეს წესი მდგომარეობს შემდეგში: ამოვარჩევთ ორს ძლიერს ოჯახს. აღვნიშნოთ ესენი № 1 და № 2. ნაყრისათვის გავამზადებთ ცარიელს სკას, რომელშიაც ჩავაწყობთ სამიოდ ფიქადამთავრებულ ჩარჩოს და ამდენსავე

*) ეს სკა უნდა იყოს ძლიერი როგორც ფუტკრით, ისე გადაბეჭდილი და თავანდლი ბარტყით.

*) კუტი ფუტკარს ვეძახით ახალგაზდა ფუტკრებს, რომლებიც ორ კვირამდე თითქმის არ გამოდიან კარზედ, ვერა ფრინავენ.



ხელოვნურს ფიქსს. აუფარებთ მისაფრენთან ტილოს, როგორც ვაკეთებთ ხოლმე ბუნებრივ ნაყრობის დროს, და დავდგავთ № 1 სკის ადგილზედ. სკას № 1 კი დროებით გადავდგავთ ახალი სკის უკან. შემდეგ № 1-დან ამოვიღებთ თითო-თითო ჩარჩოს და დავბერტყავთ ფუტკარს ტილოზედ. თუ ჩარჩოში ბევრია ახალი თაფლი და საშიშია მისი დაღვრა, ფუტკარი რბილი **ჩოთქით** უნდა ჩამოიბერტყოს ჩარჩოდან. ფუტკრების დაბერტყის შემდეგ თვითეული ჩარჩო კარგად უნდა გადაიშინჯოს, სადედოები გამოეჭრას გარდა ერთისა და დროებით ჩაიწყოს სანაყრეში ან ცარიელს სკაში, რომ ხელმეორედ ფუტკრები არ დაეხვივნენ. იმ ჩარჩოს კი, რომელზედაც აღმოჩნდება დედა, და ამის გარდა კიდევ სხვა ორ ჩაბარტყილს ჩარჩოსაც თავის ფუტკრებიანად პირდაპირ ვდგავთ ახალს სკაში, შუა გულში. თუ № 1-ის კედლებზედ ან ძირზედ დარჩებიან ფუტკრები, ამათაც ტილოზედ დავბერტყავთ.

ამგვარად № 1 სკის ფუტკარი თავის დედათი და სამი ჩაბარტყული ჩარჩო მოვაქციეთ ახალს სკაში, რომელიც № 1-ის ადგილზედვე დარჩება სამუდამოდ. დავგრჩება ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელს ბუდე თავისი თაფლით, კვერცხებით და მატლით, რომელსაც მოვათავსებთ ისევ თავისავე სკაში (№ 1) და გადავიტანთ № 2-ის ადგილზედ, ხოლო ამ უკანასკნელს კი გადავდგავთ ახალს ადგილზედ.

ამ № 2 სკიდან მთელი მოღალე ფუტკარი მოფრინდება ძველსავე ბინაზე და შევა № 1-ში. ეს ოჯახი ძლიერდება იმდენად რომ მეთხუთმეტედღეს

შეიძლება ბუნებრივი ნაყარის მოგვცეს. ამისათვის საჭიროა აღრევე გაიჩხრიკოს ბუდე და გამოეჭრას სადედოები.

№ 2 სკას, რომელშიაც მარტო კუტი ფუტკარი რჩება, 5—6 დღე წყლის მიცემა დასჭირდება.


უმათვრესი ღალიანობა და სკებზედ სართულების დადგმა. ბევრს ადგილებში უმათვრესი ღალიანობა თითქმის მაისის ნახევრიდან იწყობა, რომელიც გამოიწინობა იმით, რომ ბუდის თავზედ ჩარჩოების ნაპირები ახალის თეთრი სანთლით იმოსება, ქროდავდება, ფუტკრები ნიკორავდებიან—ყვავილებისაგან უთეთრდებით თავები, და სკაშიც სწრაფი ფიქების აშენება იწყება.

ნამდვილი მაჩვენებელი ღალიანობის დაწყობისა სასწორია, რომელზედაც მუდამ დგას საშუალო ღონის სკა შესამოწმებლად. ასეთს სკას ეწოდება საცდელი სკა. *)

დაიწყება თუ არა უმათვრესი ღალიანობა, სკებს უნდა დაედგას მეორე ყუთებიც ანუ **სართულები**, რომლებიც აღრევე უნდა იყვნენ მომზადებულნი ფიქა ჩაკრული ჩარჩოებით. ჩარჩოები ისე უნდა იყვნენ ჩაწყობულნი რომ, ბუდის ჩარჩოების გაგრძელებას წარმოადგენდნენ.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ თუ ბუდის განყოფილებაში ცოტაა თაფლი, მაშინ სართულის დადგმა რამდენსამედღეს უნდა შეჩერდეს, რომ ბუდე ცა-

*) ეს სკა იწონება დღეში ორჯელ: ერთი დღით, ვიდრე ფუტკრები გამოიშლებიან საშუაოდ, და მეორეც საღამოთი, როდესაც მთელი ფუტკარი შელაგდება სკაში. ამ ორი წონის შედარებამ უნდა გამოარკვიოს იმ დღის შემოსავალი, ან ნაკლი.





რიელი არ დარჩეს, ვინაიდან ფუტკრები თაფლის დაზოგვას ყოველთვის ზემოთა ნაწილიდან იწყობენ ხოლმე.

როდესაც მიდამო იმდენად ლალიანია, რომ ფუტკრები აღრევე ავსებენ

მთელს სკას თავის სართულიანად, მშენებელი უნდა დაედგას მეორე სართულიც, რომელსაც მოვათავსებთ პირველის თაფლით სავსე სართულის ქვეშ.

მლ. ალ. ჯალიაშვილი

რომელი ჯურა ვაშლია ქართლში გასაშენებელი

როგორც მოეხსენება მკითხველს, ვაი ხანია რაც ამიერ კავკასიაში საიმპერატორო რუსეთის მეხილეთა საზოგადოების განყოფილება არსებობს.

დაარსებისავე დღიდან განყოფილება იგი შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რომელი ჯურა ვაშლი გვარობს კარგად ქართლში.

ხანგრძლივი დაკვირვებითა და შესწავლით საზოგადოების განყოფილებამ შემდეგი ჯურა ვაშლები სცნო გორის მაზრისთვის საიმედოდ და ურჩევს ყველას მათ გაშენებას.

ვაშლების სახელები

- ასტრახანის წითელი ვაშლი.....
- შემოდგომის შაფრანი (Reinette orange de Cox).....
- ოქროს რენეტი (Золотый Пармень)
- ზამთრის წითელი კალვილი....
- Belle fleur jaune.....
- ორლეანის რენეტი.....
- შამპანის რენეტი.....
- კანადის რენეტი.....
- ყირიმის სინაპი.....
- ზამთრის თეთრი კალვილი....

როდის მწიფდება და როდემდე ინახება

- მკათათვეში
- ოქტომბერში
- ენკენისთვიდან დეკემბრამდე
- დეკემბრიდან აპრილამდე
- დეკემბრიდან იანვრამდე
- დეკემბრიდან მარტამდე
- იანვრიდან მაისამდე
- ნოემბრიდან მაისამდე
- იანვრიდან მაისამდე
- დეკემბრიდან მაისამდე

მე ჩემის გამოკვლილებით (აკერ ათი წელიწადია მეხილეობას მივდექ გორის მაზრაში, ცხინვალთან ახლო) შემიძლიან ზემოთ ჩამოთვლილ ჯურა ვაშლებს კიდევ შემდეგი დაეუმატო, როგორადაც ქართლში გასაჩენად ხელმისაღწევი:

ვაშლების სახელები

- Beauty of Bath.....
- Transparente de Croncels.....
- თეთრი რაზმარინი.....
- ლაგოდნის რენეტი.....
- კეხურა.....
- აბილაური.....
- კიტრა.....
- ზერთულა.....
- ნაპოლეონი.....
- ოქროს თესლა (Kalterer Bohmer).....
- სამეფო კალვილი.....
- მოკლე ყუნწა.....
- ქართული სინაპი.....

როდის მწიფდება და როდემდე სძლებს

- მკათათვეში
- ენკენისთვეში
- დეკემბრიდან თებერვლამდე
- იანვრიდან მარტამდე
- მეორე მოსავლამდე
- ნოემბრიდან მარტამდე
- ნოემბრიდან მარტამდე
- იანვრიდან თებერვლამდე
- დეკემბრიდან მარტამდე
- იანვრიდან მაისამდე



ყველა ეს ვაშლები მაღალ ფასში იყიდებიან სატახტო ქალაქების—მოსკოვის, პეტერბურგის ბაზარზე. ჯურა ვაშლი, რომელსაც „ნაპოლეონი“ ჰქვიათ სახელად, აუარებელი შემოაქვთ მაგალითად ტიროლიდან და 17 მან. ჰყიდიან ფუთს. ყველა ეს ვაშლები მშვენივრად ხარობენ ჩემს მამულში „ნიქოზი“.

ს. ხეთაგური

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-პრაგმული შესადგენი

წვრილი რქიანი საქონლის სხვა და-სხვა ასაკის სახელები

ვაცი ანუ ერკემალი—წინ გამდლოი თხა.

ბოტი—თხების უჩი.

ჩებიჩი—მთიდან დაბრუნებული მამალა ციკანი.

წალი—ერთი წლის დედადი თხა.

თობლი—ერთი წლის ბატკანი.

შაქი ანუ შიშაქი—ორი წლის დედადი ცხვარი.

ჭედლია—ორი წლის მამალი ცხვარი.

ყოჩი—სამი წლის მამალი ცხვარი.

ქოსმენი—ხელზე გასუქებული წვრილ-ფეხა საქონელი.

ბიჭა ბატკანი ანუ შეპარულა—უდრო-ვოდ განერბილი ცხვრის ნაშობი ბატკანი.

უგი—უბატკნოთ მეწველი ცხვარი.

ამლიკი—გათამამებული ბატკანი.

ტამაზლუხნი—სამეჩნებული ცხვარი ან სხვა რამეღამე საქონელი.

ცხვრების სხვა-და-სხვა ფერი

ყომრალი—ყავის ფერი.

თვალშავი, ყურშავი, ტუჩშავი, ყბა-შავი, ცრაგი, თეთრი.

ირიქი—კუდ ბრუნდე ან დუმა პატარა ცხვარი.

მახუხნი—შავი დიდ-დუმიანი ყარაბადული ცხვარი.

დოღმა—თუშური და ყარაბადული ცხვრე-ბის ნარევი ან ნაფერი.

ქურა—მოკლე ყურება.

დოღა—ურქა.

ჯანდაგი—ანუ ლუბი, გამსდარი.

ფარსაგი—კარგი.

სერი—ცხვრის ნიშანი, პატრონის მიერ დადებული.

ცხვრების ავადმყოფობანი

დურალი—სიცვივისაგან გაჩენილი სატკი-ვარი.

ნაბარევი—უჩნდება ბარიდან სიცხე შე-ყოფილ ცხვარს.

სისხლზე მოსული—ნაცემი ან მწვანე ბალახით გამაძდარი.

ყარავო—შიმშილისაგან გაჩენილი სატკი-ვარი.

პ. პელა—ფილტვების სატკივარი.

მეცხვარეობაში ხმარებული ჭურ-ჭელი და იარაღები

დუქარდი—ცხვრის სმარსი მაკრატელი.

საჯი—თუჯის კეცი ღავაშის საცხობლად.

კუტალი—მეცხვარის წელის სსსმელი ჭურჭელი.

მეცხვარეობაში ხმარებული სხვა-და-სხვა სიტყვები

დოღი—დრო, როცა დედადი ცხვრები ბატკნებს იკეპენ.

ცნიმი—სიმსუქნე, რძის დაღა.

დელამა—ახალი ეგელი.

გეში—დაკარგული ცხვრის ნიშანი ან კვადი.



ბერა=ლასტებით შემდგობილი ადგილი, რომელშიაც შეუდით ცხვარი სწველად.

ფარენი=ცხვრის სადგომი ადგილი, ბინა.

ნარხაჯი=საქონლის ნადგომი ადგილი.

საბინაო=ბარგი და სანოკაგე ბინაში ხმარებული, აგრედვე მთაში დაბინავების შემდეგ მორიგეობით ცხვრის დაკვლა ან რძის წველა სახარჯით.

გაინერბა=იმაკა.

შიშლიგი=შემოდგომაზე მეცხვარეებში მორიგეობით დაკვლევი ცხვარი.

ჩინტაში=გზაში სახარჯით ცხვრის დაკვლა მორიგეობით.

ამგალა=ამხანაგი მეცხვარე მთაში წასვლის დროს.

ოჩხარი=მთაში გამართული წვეულება მეცხვარეებისათვის, როდესაც თითონ

მასხინძელს არა ჰყავს ცხვარი დაქმედული ხვარეები აძლევენ.

ანზლატი=გაწურული ვეჯის შკატი.

ხალი=ქუშედი.

სარქალი=მწვემსების უფროსი.

თეო=ადგილი, სადაც მეცხვარე სტოვებს ძაღლს სადარაჯად.

მეფუტკრეობაში ხმარებული სიტყვები

ფუტკრის დოლი=დრო, როცა ფუტკარი უშვებს მართვს.

ონავარი=მამალი ფუტკარი.

ლალა=საკვებავი.

დინდგლა=ფუტკრის წებო.

მონავალი=ქურდი ფუტკრები.

წველა ფუტკრისა=თაფლის აჭრა.

საუურადღებო ცნობები

ჭიანჭველების არიდება ხეხილებიდან.
ჭიანჭველა ხეხილს დაეხვევა ხოლმე მაშინ, როდესაც ხეხილის ფოთოლზე ფოთლის ტილი ჩნდება. ამიტომ ჭიანჭველის ასაშორებლად ტილი უნდა გავწყვიტოთ ხეზე.

ტილის გასაწყვეტად ხეხილს უნდა ვასხუროთ თამბაქოს გამონახადი წვენი წყალით გადაზავებული და მეორე-მესამე დღეს სუფთა წყლის შესხურებით ფოთლებზე დანოცილი ტილი ჩამოვრეცხოთ.

თუ სორო ვიპოვეთ ჭიანჭველებისა, მათ გასაწყვეტად ასე უნდა მოვიქცეთ: წამოვაპირქვავეთ სოროზედ ქილას და მის გარშემო ჭარბათ მოვრწყავთ ადვილს წყლით. ჭიანჭველები რომ იგრძნობენ წყალს სოროდან მალა ამოვლენ ქილის ქვეშ შესაფარებლად. აქვე ამოიტანენ კვერცხებიდან გამოჩეკილ მატლებსაც. გარშობარუნეთ ქილა და მღუღარე წყლით ჩახოცეთ ჭიანჭველები შიგ ქილაში.

აპროკლებს ჭიანჭველების ასვლას ხეზედ ხეს რომ წებოიანი წასანმელი წაუსვათ ღეროზედ გარშემო. ხოცავს ჭიანჭველას აგრედვე

წყალდაუხმელი კირიც, რომ მოვყაროთ იგი სოროს ზემოდან და წვრილწვრილად დავასხათ ზედ წყალი, რომ კირი ჩაიტანოს წყალმა შიგ სოროში.

არც ხშირი დაბარვა და გათონა უყვართ ჭიანჭველებს. ამიტომ იმ ბაღს, რომელიც უფრო ხშირად იბარება-ითონება, ჭიანჭველებიც ნაკლებათ ეტანებიან.

ცხენის ზურგის წამალი. ცუდად შეკმანზულ ცხენს ხშირად ზურგი გადაეკლიშება ხოლმე და იარად გადაექცევა.

მოსარჩენად ხმარებენ შემდეგ წამალს:

წყალდაუხმელი კირი. 1/4 გირ.
გოგირდი (გადაორთქილილი). . . 1/2 გირ.
წყალი 5 გირ.

გადაურიეთ ერთმანეთში და ხარშეთ, ვიდრე ნარევი ლუდის ფერს მიიღებს.

წამლის ხმარება: სამ დღეში ერთხელ ნამტკიანი ადგილი უნდა მწვანე საპნით გადიბანოს და წამალი ისე წაუსვათ ხოლმე.

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**